ნანა ვეკუა[1]

ტრანსგენდერების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და მათი სტატუსის აღიარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები

აბსტრაქტი

ტრანსგენდერი ადამიანები, ანუ პირები, რომელთა გენდერული იდენტობა ან გამოხატვა დაბადებისას მათდამი მინიჭებული სქესის შესახებ მოლოდინებს არ ამართლებს, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია. საზოგადოების უდიდეს ნაწილში მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება და ძლიერი ტრანსფობიური განწყობაა გაბატონებული, რაც ტრანსგენდერებს ძლიერი ფსიქოლოგიური, ზოგიერთ შემთხვევაში კი ფიზიკური საფრთხის წინაშე აყენებს.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სრული სურათის წარმოდგენა. ამ მიზნის მისაღწევად, ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის მიმოხილვის პარალელურად, გაანალიზდება ეროვნული ჩარჩო კანონმდებლობა განსაკუთრებით გენდერის სამართლებრივი აღიარების მიმართულებით და ყურადღება გამახვილდება იმ ძირითად ასპექტებზე, რომლებზეც საქართველომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა იმუშაოს ტრანსგენდერების უფლებების დასაცავად.

საკვანძო სიტყვები: გენდერული იდენტობა, ტრანსგენდერი, ტრანსფობია

Abstract

Transgender people, that is, people whose gender identity or expression does not meet the expectations of the sex assigned to them at birth, are one of the most marginalized groups in Georgia. A negative attitude towards them and a strong transphobic mood prevail in the largest part of society, which puts transgenders in strong psychological and in some cases physical danger.

The purpose of this article is to present a complete picture of the legal status of transgenders living in Georgia. In order to achieve this goal, in parallel with the review of the actual situation in the country, the national framework legislation will be analyzed, especially in the direction of legal recognition of gender, and attention will be focused on the main aspects that Georgia should work on in order to protect the rights of transgender people, taking into account international legal norms and best practices.

Keywords: *Gender identity, transgender, transphobia.*

შესავალი

ტრანსგენდერები, როგორც ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები, მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი საზოგადოების ფართო მასებისთვის ცნობადი სახეების მხრიდან ტრანსგენდერების უფლებებზე აქტიურმა საჯარო საუბრებმა, პროტესტებმა, უფლებადამცველობითმა ღონისძიებებმა მასშტაბური სახე განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში მიიღო, რამაც თავის მხრივ, განაპირობა ტრანსგენდერების საკითხის გარშემო არსებული სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე.

[1] თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა:Nana.Vekua882@law.tsu.edu.ge.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს ტრანსგენდერების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სრული სურათის წარმოდგენა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე აქცენტირებით. მათი ფიზიკური, ფსიქო-სოციალური, სოციო-ეკონომიკური თუ სხვა საჭიროებების წარმოჩენა, იმის გაანალიზება, თუ რა არის მიზეზი საზოგადოებაში გავრცელებული მძაფრი ნეგატიური განწყობისა ამ ჯგუფის მიმართ.
წინამდებარე სტატიის ფარგლებში შეფასდება ტრანსგენდერების წინაშე არსებული სამართლებრივი პრობლემები, როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე.
პირველი თავი დაეთმობა ტერმინ ტრანსგენდერის განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს და იმის ჩვენებას, თუ ვინ არიან, რა სახის საერთაშორისო სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ და როგორია მათი უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების საკითხები საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში. მომდევნო თავში განხილული იქნება ტერმინ ტრანსფობიის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები ტრანსგენდერი ადამიანების ყოფაზე. მიმოხილული იქნება ასევე, დისკრიმინაციის ფორმები და სახეები, რომლებსაც ამ თემის წარმომადგენლები საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში აწყდებიან. დისკრიმინაციის საკითხზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილდება იმ ზღვრის დადგენაზე, რომლის მიღმაც შეგვიძლია დისკრიმინაციის არსებობა/არარსებობაზე მსჯელობა, მათ შორის ისეთ ახლად წამოჭრილ საკითხთან მიმართებით, როგორიც სპორტის სხვადასხვა სფეროში ტრანსგენდერების მონაწილეობას უკავშირდება. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას აქცენტი გაკეთდება როგორც სახელმწიფო, აგრეთვე არასახელმწიფო სტრუქტურების როლზე ტრანსფობიასთან და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და წარმოჩენილი იქნება საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ინერგება ტრანსფობიური და დისკრიმინაციული განწყობების აღმოფხვრის მიმართულებით. გაანალიზდება და შეფასდება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ეროვნული მთავრობების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა. ცალკე თავი დაეთმობა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხებს და პრობლემებს, რომლებსაც ტრანსგენდერები მათი გენდერის სამართლებრივი აღიარების მიმართულებით აწყდებიან. ამასთანავე, მოყვანილი იქნება საერთაშორისო და ეროვნულ სასამართლოებში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული უახლესი პრაქტიკა. ცალკე თავი დაეთმობა რეკომენდაციებს ტრანსგენდერთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ხოლო დასკვნის სახით შეჯამდება სტატიაში დასმული აქტუალური საკითხები.

1. ტერმინოლოგიური განმარტება: ტრანსგენდერი, როგორც ქოლგა ტერმინი

უშუალოდ ტრანსგენდერების უფლებრივი მდგომარეობის განხილვაზე გადასვლამდე, უპრიანი იქნება უპირატესად თავად ტერმინ ტრანსგენდერის მნიშვნელობაზე საუბარი.
ზოგადი განმარტებით, სიტყვა ტრანსგენდერი ქოლგა ტერმინია,[2] რომელიც მიემართება ადამიანებს, რომელთა გენდერული იდენტობა ან/და გენდერული თვითგამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესისგან.[3]
გენდერული იდენტობის თემებზე საუბრისას ხშირად უჭირთ ერთმანეთისგან გენდერული იდენტობის სექსუალური ორიენტაციისგან გამიჯვნა. პირველი მათგანი მიემართება ადამიანის მიერ გენდერის ინდივიდუალურ, შინაგან აღქმას, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლოა განსხვავდებოდეს მათთვის დაბადებისას მინიჭებული სქესისაგან და გამოიხატებოდეს მათ შორის სხეულის პიროვნული აღქმის თავისებურებებით და გენდერის სხვა ისეთი გარეგანი გამოხატულებებით, როგორებიცაა ჩაცმულობა, საუბრის სტილი, მანერიზმი.[4] რაც შეეხება სექსუალურ ორიენტაციას, იგი

[2] მაია (ნუკრი) ტაბიძე, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში“, Equality Movement, (2019), 2.
[3] Judson Adams, Halle Edwards, Rachel Guy, Maya Springhawk Robnett, Rachel Scholz-Bright & Breanna Weber, "Transgender Rights and Issues," Georgetown Journal of Gender and the Law 21, no. 2 (2020), 481.
[4] Judson Adams, Halle Edwards, Rachel Guy, Maya Springhawk Robnett, Rachel Scholz-Bright & Breanna Weber, "Transgender Rights and Issues," Georgetown Journal of Gender and the Law 21, no. 2 (2020), 481.

დაკავშირებულია ერთი ინდივიდის ემოციურ და სექსუალურ მიზიდულობასთან იმავე ან სხვა ნებისმიერი გენდერის წარმომადგენელი ინდივიდისადმი.[5] ტრანსგენდერი ადამიანები სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეები ან ბისექსუალები. მაგალითად, კაცი, რომელიც მამრობითი გენდერიდან ქალურ გენდერზე ტრანზიციას გადის და ქალები იზიდავს, შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც ლესბოსელი ქალი და პირიქით.

ტრანსგენდერი, როგორც ზოგადი, ქოლგა ტერმინი, თავის თავში აერთიანებს გენდერულად ცვალებად ადამიანთა ჯგუფებს, რომელთა მიერ საკუთარი გენდერის აღქმა სხვადასხვა სახისაა და შესაბამისად, სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. მაგალითისათვის, ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანი, რომელიც მიმართავს სამედიცინო ჩარევას იმისათვის, რათა სქესი შეიცვალოს, ტრანსსექსუალად იწოდება.[6] მათ გარდა, ტერმინ ტრანსგენდერის ქოლგის ქვეშ მოიაზრებიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს აიდენტიფიცირებენ არაბინარული (non-binary) ან ქვიარ (genderqueer) ჯგუფის წარმომადგენლებად და აცხადებენ რომ ისინი არც მდედრობითი და არც მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.[7] ზოგიერთი არაბინარი თავის თავს შესაძლოა სულაც არ აიდენტიფიცირებდეს ტრანსგენდერად და მიიჩნევდეს, რომ ერთდროულად რამდენიმე ან არც ერთ გენდერს არ მიეკუთვნება, არის მესამე გენდერის წარმომადგენელი და ა.შ. თავის მხრივ, მესამე გენდერი (third gender/sex),[8] ტრანსგენდერის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული კიდევ ერთი ტერმინია, რომლის მიხედვითაც, ამ ჯგუფში გაერთიანებული ინდივიდები საზოგადოების მხრიდან ან თავად ამ ინდივიდების მიერვე, აღიქმებიან, როგორც არც მდედრობით და არც მამრობით სქესს მიკუთვნებულები და წარმოადგენენ „სხვა გენდერს“.[9] აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული არიან არაკონფორმისტი ტრანსგენდერები და ინტერსექს (intersex) ან ჰერმაფროდიტი ადამიანები, ანუ პირები, რომლებიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიხედვით, დაბადებული არიან სქესთან დაკავშირებული ისეთი მახასიათებლებით, რომლებიც ქალის ან კაცის ტიპიური სხეულისგან განსხვავებულია,[10] რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა მათ ორივე, როგორც ქალის, ასევე, მამაკაცის სასქესო ორგანო ან მახასიათებლები გააჩნდეთ.

ფართო განმარტებით ამავე ქოლგა ტერმინის ქვეშ შეიძლება გავაერთიანოთ ტრანსვესტიტები ანუ ქროსდრესერებიც (cross-dresser)[11] - ადამიანები, რომლებიც იმოსებიან იმ სახის ტანსაცმლით, რომელიც მათი სქესისთვის უჩვეულოდ აღიქმება. ტრანსვესტიტი შედარებით მოძველებული და ნაკლებად გამოყენებადი ტერმინია და მიუხედავად შესაბამის ლიტერატურაში მსგავსი იდენტობის სათანადო განმარტების ნაკლოვანებისა, ქროსდრესების ჯგუფში მოიაზრებენ ადამიანებს, რომელთა მიერაც საპირისპირო სქესის სამოსის ტარება დაკავშირებულია სწორედ იმ ფაქტთან, რომ ისინი საპირისპირო სქესის ტანსაცმელს წარმოადგენენ.[12] მათი უმეტესობა ჰეტეროსექსუალად იდენტიფიცირდება და არ გააჩნია საკუთარი სხეულის სამედიცინო ჩარევის გზით შეცვლის სურვილი.

---

[5] *იქვე.*

[6] Thomas E. Bevan, „The Psychobiology of Transsexualism and Transgenderism: A New View Based on Scientific Evidence,“ Praeger, (2014), 42.

[7] Revell, D. L., & Vapnek, J. (2020). Gender-silent legislative drafting in non-binary world. Capital University Law Review, 48(2), (2020), 105.

[8] Rachel Sloth-Nielsen, "Failure to Recognise a Third Gender Option: Unfair Discrimination or Justified Limitation?," Law, Democracy and Development 25 (2021), 91.

[9] Akshita Pandit, "(Trans) Gressing the Binary: Coalitional Self-Determination for the Third Gender Framework," Socio-Legal Review 14, no. 1 (2018), 67-71.

[10] Free and Equal Campaign Fact Sheet: Intersex, UN Office of the High Commissioner for Human Rights, 2015, 1.

[11] The American Heritage Dictionary of the English Language, Fourth Edition. Houghton Mifflin Company, 2016.

[12] Sexual Orientation, Gender Identity and Justice: A Comparative Law Casebook. Geneva, International Commission of Jurists, 2011, 160-161.

2. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო და მისი აღსრულება

საქართველოში ერთიანი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შექმნა 2014 წლის 2 მაისს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღებას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა კანონმა ერთიან ჩარჩოში მოაქცია საერთაშორისოდ აღიარებული ყველა დაცული საფუძველი, მათ შორის, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კანონის აღსრულების მექანიზმად სასამართლოსთან ერთად განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის ფარგლებშიც შექმნილმა სპეციალურმა თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციის საქმეებზე.[13]

აღსანიშნავია, რომ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი მოკლებულია აღსრულების ეფექტიან მექანიზმს, ასევე სახალხო დამცველის რეკომენდაციებსა და ზოგად წინადადებებს არ აქვთ სავალდებულო ხასიათი. ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, რომელთა მიმართ, რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს ადმინისტრაციული დავის ინსტრუმენტი აქვს, კერძო პირებისადმი გაცემული მისი რეკომენდაცია სრულიად მოკლებულია აღსრულების უზრუნველყოფის სამართლებრივ შესაძლებლობას და მისი გაზიარება მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამასთანავე, მცირე სასარჩელო ხანდაზმულობის 3 თვიანი ვადის დაწესების გამო (შრომითი და ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში ის ერთი თვეა), ის, ფაქტობრივად, გამორიცხავს სასამართლო სისტემისა და სახალხო დამცველის მექანიზმების კომპლემენტარულ გამოყენებას და მათ სამართლებრივი დაცვის ალტერნატიულ საშუალებებად აქცევს.[14] ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონი შეიცავს სასამართლოს გზით მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, პრობლემურია თავად მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის ისევე, როგორც ზიანის გამოთვლის კრიტერიუმები. მოქმედი სასამართლო პრაქტიკა, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის პირისგან მის მიმართ მიყენებული სტრესის დასაბუთებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ, სერიოზულად ართულებს კომპენსაციის შესაძლებლობას.

თავად კანონის მნიშვნელობა უმცირესობებისთვის მართლაც დიდია და ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს, რადგან კანონის ძალაში შესვლიდან დაახლოებით 1 წლის პერიოდში, 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, სახალხო დამცველის აპარატში შევიდა 107 საჩივარი/განცხადება, რომელთაგან 11% შეეხებოდა განმცხადებლის სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს.[15] თუმცა, საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური, ტრანსფობიური და სექსისტური განწყობების ფონზე, ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრების ხელშესახები გაუმჯობესების მინიმალურ შესაძლებლობას იძლევა. ანალოგიური მდგომარეობაა ტრანსფობიური დანაშაულების შემთხვევაშიც, სადაც პოლიციაც და სასამართლო სისტემაც, მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, პრაქტიკაში უგულებელყოფს ტრანსფობიას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას სისხლის სამართლის დანაშაულების დროს.[16] საზოგადოებაში არსებული ამ განწყობების ბოროტად გამოყენება მოხდა პოლიტიკურადაც და 2018 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულმა ცვლილებამ კონსტიტუციაში ქორწინება „კაცის და ქალის" ერთობად ცნო. ეს ღიად ჰომოფობიური მუხლი არა მხოლოდ ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინების უფლებას გამორიცხავს, ის ნეგატიურად აისახება ტრანსგენდერ ადამიანებზეც.

აღნიშნული კანონის მიღებამდე ოთხი წლით ადრე, 2010 წელს მიიღეს გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა თანასწორობის პრინციპები ყველაზე პრობლემურ სფეროებში. თუმცა, თავად კანონი სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ

---

[13] EMC, "ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში", 2016, 16.

[14] EMC, "ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში", 2016, 19.

[15] *იქვე,* 20.

[16] თანასწორობის მოძრაობა, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში", 2019, 5.

იდენტობაზე ცალკე ჩანაწერს არ შეიცავს და არც აღსრულების ეფექტიანი მექანიზმითაა აღჭურვილი, ამიტომ ის მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა და პრაქტიკული თვალსაზრისით, ტრანსგენდერი ადამიანების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას ნაკლებად იძლევა.
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2012 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო.
აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და დაცულ საფუძველთა სრულყოფის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53[1] მუხლი, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა.[17] აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებს წინ უძღოდა ECRI-ის 2010 წლის მოხსენება საქართველოს შესახებ, სადაც გამახვილებული იყო ყურადღება მსგავსი საკითხების სისხლის სამართლებრივად დარეგულირების საჭიროებაზე. სამწუხარო რეალობაა, თუმცა მიუხედავად ამ უმნიშვნელოვანესი ცვლილების განხორციელებისა, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო მას ფორმალური სახე უფრო აქვს და აღსრულება პრაქტიკულად არ ხდება.

3. ტრანსფობია და დისკრიმინაცია

3.1 რა არის ტრანსფობია

ტრანსფობია გულისხმობს ტრანსგენდერ პირებთან დაკავშირებული ინდივიდუალური ცრურწმენების არსებობას, მათ სიძულვილს და/ან შიშს, ისევე როგორც სისტემურ დისკრიმინაციასა და ტრანსგენდერი ადამიანების ინსტიტუციურ დონეზე ჩაგვრას მათ შორის მთავრობის, განათლების, სამედიცინო დახმარების, სოციალური მომსახურების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ.[18]
ჰომო/ ბი/ტრანსფობია, რომლის ფესვებიც საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენაში არის ღრმად გადგმული, გამყარებულია ტრადიციული ღირებულებების გენდერული როლებით, რომლებიც, თავის მხრივ, კვებავს ამ ქვეყანაში დამკვიდრებულ დისკრიმინაციულ კულტურას და ხელს უშლის ლგბტქ+ ადამიანებს სრულფასოვნად ისარგებლონ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით.[19]
საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებების შედეგად, რომელიც ხშირად სახელმწიფოში ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არარსებობით არის წახალისებული, ბევრი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანგენდერი და ინტერსექსი ადამიანი ექვემდებარება უფლებათა დარღვევის ფართო სპექტრს, რომელიც მათ ხელს უშლის, სხვების მსგავსად ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებებით.[20]

3.2 ტრანსფობიური სიძულვილის ენა

3.2.1 სიძულვილის ენა საერთაშორისო სამართალში

აღსანიშნავია, რომ თავად ტერმინ სიძულვილის ენის ერთხმად აღიარებული დეფინიცია საერთაშორისო სამართალში არ არსებობს, შესაბამისად, ის თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ სიძულვილის ენად, საკმაოდ პრობლემატურ და სადაო საკითხს წარმოადგენს.
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა

---

[17] EMC, "ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში", 2016, 16.
[18] Evan Vipond, "Trans Rights Will Not Protect Us: The Limits of Equal Rights Discourse, Antidiscrimination Laws, and Hate Crime Legislation," Western Journal of Legal Studies 6, no. 1 (2015), 2.
[19] EMC, "ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში", 2016, 5.
[20] იქვე, 17.

ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 2019 წლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც სიძულვილის ენას შეეხება, ამ ტერმინს განმარტავს, როგორც ნებისმიერი სახის კომუნიკაციას გამოხატულს ორალური, წერილობითი და ქცევითი ფორმით, რომელიც თავს ესხმის ან იყენებს დისკრიმინაციულ ენას პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნულობის, რასის, კანის ფერის, წარმოშობის, გენდერის ან სხვა იდენტობის საფუძველზე.
ნაცვლად სიძულვილის ენის აკრძალვისა, საერთაშორისო სამართალი კრძალავს წახალისებას დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულებისა და ძალადობის მიმართ, რაც საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანია ადამიანის უფლებათა ყველა სფეროსთვის, მათ შორის გენდერული იდენტობით განპირობებული დანაშაულებისთვისაც.
სიძულვილის ენასთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია მისი გამიჯვნა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულებებისგან (ე.წ. Hate crime), ეს უკანასკნელი გულისხმოს არა სიძულვილის გამოხატვას ენით, სიმბოლურად და ასე შემდეგ, არამედ კონკრეტული დანაშაულის, მაგალითად მკვლელობის ჩადენას სიძულვილის მოტივით.
სიძულვილის ენა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და თავად ამ საზოგადოების საფუძველს. გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება.

3.2.2 სიძულვილის ენა ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას იცავს კონსტიტუციის დონეზე, კერძოდ, მისი მე-17 მუხლით, რომელიც აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებს შეეხება. შესაბამისად, სიძულვილის ენაც სწორედ ამ მუხლს შეიძლება დაუკავშირდეს.
გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომისგან, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ,,ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს“. [21]
საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენის რეგულირება დღეს დღეობით ძირითადად მედია მაუწყებლობასთან მიმართებაში ხდება.[22] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ნორმებს ვხვდებით ასევე შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონსა[23] და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში[24].

3.2.3 საქართველოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით

საქართველო მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერია რომელთა შორისაცაა 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კონვენციის მეოთხე მუხლის მიხედვით, კანონით დასჯად ქმედებად

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.ბ.7.
[22] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 56.2 მუხლი.
[23] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, 11.1 მუხლი.
[24] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 7 მუხლი.

უნდა გამოცხადდეს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე დაფუძნებული იდეების ყოველგვარი გავრცელება, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი წაქეზება ისევე, როგორც ძალადობის ყველა აქტი ან ასეთი აქტების წაქეზება.

ეროვნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების მიღება. მიუხედავად ამისა, საქართველოში მრავლადაა რასიზმისა თუ შეუწყნარებლობის ფაქტები და ამას ჩატარებული მონიტორინგი და სტატისტიკაც ადასტურებს. ძირითადად პრობლემა გამოწვეულია საკანონმდებლო ხარვეზებით, რომელიც დახვეწას და თანამედროვეობასთან შესაბამისობას მოითხოვს. განსაკუთრებით პრობლემატურია სიძულვილის ენა, რაც აქტიურად ჟღერდება მედიის, ჟურნალ-გაზეთების, პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების რიგითი წევრების მხრიდან. გარდა ვერბალური სახის შევიწროებისა, ხშირად ვხვდებით ფიზიკური ძალადობის ფაქტებსაც, რომელიც ძირითადად მიმართულია რელიგიური, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობების მიმართ.

საზოგადოების დამოკიდებულებებთან მიმართებით, საინტერესოა UNFPA-ს მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულ კაცთა 83%-ს შერცხვებოდა ჰომოსექსუალი შვილის ყოლა, ამავე დებულებას ქალთა 74% იზიარებს. დებულებას, რომ ჰომოსექსუალ ქალებს/კაცებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, იზიარებს კაცების კვლავ 83% და ქალთა 64%. გამოკითხულ კაცთა 81% აღნიშნავს, რომ არ ეყოლებოდა ჰომოსექსუალი მეგობარი, როდესაც, ამავე დებულებას, ქალთა მხოლოდ 54% იზიარებს.[25]

3.3 სამართალდამცავ ორგანოთა რეაგირება ტრანსფობიურ ძალადობაზე

3.3.1 სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვიანობის მაჩვენებელი

მთავარი საკითხი, რომელიც წამოიჭრება ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ანალიზისას, არის ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების შესახებ მსხვერპლთა მხრიდან პოლიციისადმი მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნული მიუთითებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზზე, რომელიც სისტემის მიმართ მოქალაქეების დაბალ ნდობაზე მეტყველებს და სახელმწიფოს წინაშე სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური რეფორმირების საჭიროებას აყენებს. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევით ასევე გამოვლინდა სამართალდამცავი სისტემისადმი ლგბტქ+ თემის დაბალი მიმართვიანობის კომპლექსური პრობლემა, რომელიც უნდა აიხსნას, როგორც პერსონალური გამოცდილებით სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობისას, ასევე სოციოლოგიურ-ეკონომიკური ფაქტორებით და პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკით. 2012 წლის კვლევის მიხედვით, „ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე პირთა მხოლოდ 27%-მა მიმართა პოლიციას, 2015 წლის მონაცემებით, მხოლოდ – 30%-მა.[26] კიდევ უფრო დაბალია პოლიციისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე, რომელიც მსხვერპლის მხრიდან არ მიიჩნევა სერიოზულ ქმედებად და შესაბამისად, არ მიმართავს სამართალდამცავ უწყებებს“. პოლიციის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარის გამოცდილება ძალიან ხშირია ტრანსგენდერ ადამიანებში. პოლიციის მხრიდან ხშირია ასევე, სექსუალური ძალადობისა და შევიწროების ფაქტებიც, რაც ზოგ შემთხვევაში ფულადი კომპენსაციით ან პოლიციელების მხრიდან ტრანსგენდერთა ე.წ. „მფარველობით“ ანაზღაურდება.

ამრიგად, ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებების დაცვას, თავად ხდება მათი უფლებების დამრღვევი. სამართალდამცავთა გულგრილობასა და ჰომოფობიურ განწყობაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს, მათ შორის 2020 წლის 17 მაისს, პოლიციის მიერ რუსთაველის გამზირზე კაფე „გალერიდან“ გადმოფენილი ლგბტქ+ დროშის ჩამოხსნა, რაც მათი თქმით

---

[25] UNFPA, G. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. თბილისი: UNFPA და UNDP.

[26] EMC, „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“ (2017) 82.

კაფის მეპატრონეთა ნებით განხორციელდა, მას შემდეგ, რაც მოხდა მათი „ინფორმირება“ შესაძლო საფრთხის შესახებ.[27] ამ ფაქტამდე ცოტა ხნით ადრე 2 მაისს, კომენდანტის საათის დროს, პოლიციელთა რამდენიმე ეკიპაჟმა ჯგუფური ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა განახორციელა ტრანსგენდერ ქალთა მიმართ, რაც საბოლოოდ ერთ-ერთი ტრანსგენდერი ქალის მიერ ვენების გადაჭრით დასრულდა.[28]

3.3.2 რეაგირება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე

სხვა არაერთ პრობლემასთან ერთად, რომელსაც ტრანსგენდერი ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, ერთ-ერთ უმწვავეს საკითხს წარმოადგენს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე შემაკავებელი ორდერის გამოწერის პრობლემურობა, ვინაიდან ორდერის გამოწერა მხოლოდ კანონით განსაზღვრული მდედრობითი სქესის პარტნიორობების პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ტრანსგენდერს თავისი გენდერული თვითაღქმის შესაბამისად დოკუმენტებში არ აქვს სქესის შესახებ ჩანაწერი შეცვლილი, იგი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ძალადობის მსხვერპლი ქალებისგან განსხვავებით ვერ ისარგებლებს მოძალადისგან დაცვის ისეთი ელემენტარული საშუალებით, როგორიც ორდერის გამოწერაა. მსგავს გახმაურებულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ტრანსგენდერ ქალ მირანდა ფაღავასთან მიმართებით, რომელსაც თავს დაესხნენ, თუმცა ორდერის გამოწერა ვერ მოხდა, რადგან მსხვერპლს დოკუმენტებში არ ჰქონდა შეცვლილი ჩანაწერი სქესის შესახებ გენდერული თვითაღქმის შესაბამისად.[29] კანონმდებლის მოთხოვნა სქესის შესახებ ჩანაწერთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს და საჭიროა მისი ფორმულირება განხორციელდეს იმგვარად, რომ გაფართოვდეს გენდერის შესახებ გაგება.

3.3.3 ძალადობა ლგბტქ+ აქტივისტებზე

ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების გარდა, არაერთხელ დამუქრებიან ასევე, იმ პირებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებიც მათ უჭერენ მხარს. მაგალითისათვის, 2015 წლის იანვარში „იდენტობასა“ და მის პერსონალს სოციალური მედიის საშუალებით ემუქრებოდნენ.[30] მათ 2012-2013 წლებშიც ჰქონდათ მიღებული სიკვდილის მუქარები. გარდა „იდენტობისა“, მუქარის ფაქტები დაფიქსირდა სხვა არაერთი ორგანიზაციის მიმართ, მათ შორის, 2013 წლის თებერვალში „ქალთა ფონდი“, პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც მხარი ღიად დაუჭირა ლგბტქ+ ჯგუფებს, იძულებული გახდა, ოფისი შეეცვალა, რადგან მეზობლები თანამშრომლებს ემუქრებოდნენ. მანამდე, 2012 წელს, ამ დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს თავს დაესხნენ რადიკალური რელიგიური საპროტესტო აქციის მონაწილეები და, სულ მცირე, ორ ადამიანს მიაყენეს მძიმე დაზიანებები. ამ ყველაფრის პარალელურად, იზრდება იმ ბლოგებისა და ფორუმების რიცხვი, სადაც აქეზებენ ლგბტქ+ პირთა წინააღმდეგ ძალადობას.

3.3.4 პრაიდის კვირეული 2021

„პრაიდ კვირეული“ თბილისში 2021 წლის 1 ივლისს კულტურული ღონისძიებებით გაიხსნა და ლგბტქ+ თემს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა შეკრების თავისუფლებით. კვირეული 5 ივლისს „ღირსების მარშით“ უნდა დასრულებულიყო, თუმცა მის მონაწილეთათვის უსაფრთხოების გარანტიების

---

[27] ტაბულა, “პოლიციამ კაფე გალერის ფანჯრიდან გადმოფენილი ლგბტ დროშა ჩამოახსნევინა”, 17 მაისი (2020) <http://tabula.ge/> [13.03.2021].

[28] მთავარი არხი, „30-მდე სამართალდამცველმა ტრანსგენდერ ქალებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა“, 2 მაისი (2020) <Mtavari News> [13.03.2021].

[29] თანასწორობის მოძრაობა, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში” (2019) 6.

[30] ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 26.

არარსებობისა და 5 ივლისს გამოვლენილ ძალადობაზე არასათანადო რეაგირების გამო, აღნიშნული მარში არ ჩატარდა.[31]

2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეების თავდასხმის შედეგად დაშავდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები, უფლებადამცველები და სხვა მოქალაქეები.

ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები აძვრნენ „თბილისი პრაიდის“ აივანზე და დროშები ჩამოხსნეს, ასევე დააზიანეს „თბილისი პრაიდის“ კუთვნილი ინვენტარი.[32] მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისთან კი, „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები კორპუსის მცხოვრებლებს, სადაც „სირცხვილიას“ ოფისია განთავსებული, აივნებზე სხვადასხვა ნივთებს ესროდნენ, ასევე ჩაამსხვრიეს „სირცხვილიას“ ოფისის ფანჯრების შუშები.[33] გარდა ამისა, თავს დაესხნენ „ადამიანის უფლებათა სახლს“, რომლის ტერიტორიაზეც პიროტექნიკა ისროლეს.[34] რამდენიმე მოქალაქეს კი ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩაცმულობის გამო.[35]

5 ივლისის მოვლენებს წინ უსწრებდა ძალადობრივი ჯგუფების ლიდერებისა და სხვა წევრების საჯარო მოწოდებები ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძისა და დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიმართა, თუმცა აღნიშნულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.[36]

შემაშფოთებელია აგრეთვე ის საფრთხის შემცველი და მტრული გარემო, რომელშიც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება უწევთ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს. „პრაიდის კვირეულის“ ფარგლებში, მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანდა, თუ როგორ ესხმოდნენ თავს ძალადობრივი ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს. პროკურატურის თანახმად, დაზარალებულად ცნობილია 53 პირი, მათ შორის, 42 ჟურნალისტი და ოპერატორი, 7 მოქალაქე, 3 უფლებადამცველი და 1 არასამთავრობო ორგანიზაცია.

მიუხედავად რამდენიმე ადამიანის დაკავებისა, რომელიც 6 ივლისის აქციას მოჰყვა, საქართველოს ხელისუფლებამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვა, რაც საქართველოზე, როგორც განვითარებადი დემოკრატიის სახელმწიფოზე მეტად უარყოფითად მეტყველებს და ძალიან დიდ უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე წინსვლისა და განვითარებისთვის.

3.4 დისკრიმინაცია

3.4.1 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ლგბტქ+ პირთა თემის ხილვადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების სფეროში, მათ შორის გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ დამოუკიდებლად არ მოიცავს სექსუალური

---

[31] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 40.

[32] იხ. https://bit.ly/3xurVPK

[33] იხ. https://bit.ly/3O4l30D

[34] იხ. https://bit.ly/3O4fsYv

[35] იხ. https://bit.ly/3mtsuTE

[36] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 41-42.

ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშანს, თუმცა განმარტებით დოკუმენტებსა თუ გადაწყვეტილებებში აღწერს აღნიშნულ საფუძვლებს. 1994 წლის საქმეში Toonen v. Australia ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუთითა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან ინდივიდები სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან. აღნიშნული პოზიცია აისახა ასევე კომიტეტის შემდგომ გადაწყვეტილებაშიც და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის N20 ზოგად კომენტარშიც, რომელშიც აღინიშნა, რომ პაქტში მითითებული „სხვა სტატუსი" გულისხმობს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველსაც.[37]

2003 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეა პერმანენტულად მოუწოდებდა სახელმწიფოებს, ყურადღება გაემახვილებინათ ზემოაღნიშნული საფუძვლით ადამიანთა გახშირებული მკვლელობების აღკვეთაზე. 2011 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო პირველი რეზოლუცია 17/19, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რომელშიც ღრმა მწუხარება გამოხატა ლგბტქ+ პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის გამო.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის პირველი ოფიციალური ანგარიში A/HRC/19/41, სადაც კომისიამ დისკრიმინაციული პრაქტიკის ნეგატიურ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება და გამოყო დისკრიმინაციის თვალსაზრისით ყველაზე პრობლემური სფეროები, რომელთა შორის მოექცა შრომითი ურთიერთობები, ადეკვატური საცხოვრისისა და სოციალური დაცვის უფლებები.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე, რომელიც სიღრმისეულად მოიცავს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს და მას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებს.

3.4.2 ღირსეული სამუშაო და ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი

მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სამუშაო ადგილას ჰომოსექსუალი, ლესბოსელი და ბისექსუალი ადამიანების მიმართ დისკრიმინაცია კვლავ გავრცელებული პრაქტიკაა. ტრანსგენდერ ქალთა უმრავლესობას აქვს პირადობის დამადასტურებელი ისეთი საბუთები, რომლებიც არ შეესაბამება მათ გენდერულ იდენტობას. შესაბამისად, ბევრი მათგანი დასაქმებულია არაფორმალური ეკონომიკის სფეროში მწირი სამუშაო პირობებითა და შემოსავლით, მათ შორის დაკავებულია სექს მუშაკობით.

განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა დასაქმების პრობლემები Covid-19-ის პანდემიის დროს, რა დროსაც ტრანსგენდერებმა შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დაკარგეს. სწორედ ამ თემას მოჰყვა ერთ-ერთი ტრანსგენდერი ქალის, მადონას მიერ თავის დაწვის მცდელობა თბილისის მერიის წინ, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. რაც შეეხება სახელმწიფოს მიდგომას, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს ფუნქცია არ იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი დახმარების გაცემა, სუბსიდირება ან სხვა რაიმე ხელოვნური ჩარევა ამა თუ იმ სფეროში, რადგან ამ სახის დახმარება საბოლოოდ ჯანსაღი კონკურენციისა და განვითარების საშუალებას სპობს.

3.4.3 ჯანდაცვა

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და უარყოფითი პირადი დამოკიდებულების გამოვლენას, ხოლო „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი კი იცავს მოქალაქეთა უფლებებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და აწესებს ყველა პაციენტის ღირსების პატივისცემას. ამის მიუხედავად, ხშირია ტრანსგენდერთა მისამართით თავად სამედიცინო პერსონალის მხრიდან ტრანსფობიური დამოკიდებულების ფაქტები, რის გამოც ტრანსგენდერები ხშირად თავს იკავებენ სამედიცინო მომსახურების მიღებისგან და თვითმკურნალობას მიმართავენ.

[37] EMC, "ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში" (2016) 17.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მისამართით პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციის მიუხედავად, ჯანდაცვასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები არ ასახავს ან არ ითვალისწინებს ლგბტქ+ თემის საჭიროებებსა და ინტერესებს.
ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა პრობლემურია და ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალები არ იცნობენ ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობის კონკრეტულ საჭიროებებს. გენდერის დამოწმების სათანადო სერვისებზე, მათ შორის ფსიქოლოგიური, ენდოკრინოლოგიური და ქირურგიული ექსპერტიზის ხელმისაწვდომობა, რეგულირებული არ არის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მისამართით პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციის მიუხედავად, დღემდე არ არსებობს კლინიკური სახელმძღვანელო პრინციპები გენდერის დამოწმების პროცედურებთან დაკავშირებით და ისინი არ იფარება კერძო და საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში. შედეგად, ისინი მათ შორის ფინანსურად ხელმიუწვდომელია ტრანსგენდერი ადამიანების უმრავლესობისთვის.

3.4.4 განათლება

„ზოგადი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით, თუმცა განათლების სისტემაში არ არსებობს რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ბულინგთან დაკავშირებულ საკითხებს. იმ ტრანსგენდერ ქალებსა და ტრანსფემინურ რესპონდენტებში, ვინც ბავშვობაში გენდერულად არაკონფორმული იყო, ხშირია „ბულინგის“ და ფიზიკური ძალადობის გამოცდილება. შესაბამისად, გენდერულად არაკონფორმული ბავშვები ხშირად წყვეტენ სკოლაში სიარულს და უმრავლესობა არ აგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებსაც.
დაბალი ცნობიერება იმის შესახებ, რომ ჰომოსექსუალიზმი არის ადამიანის სექსუალობის ნორმალური ვარიაცია, ქმნის მტრულ გარემოს და აღვივებს ლგბტქ+ მოსწავლეების მიუღებლობას. თემის წევრებმა განაცხადეს, რომ ზოგჯერ, მშობლები და მასწავლებლები ერთობლივი ძალებით ცდილობენ ლგბტქ+ მოსწავლეების დარწმუნებას, რომ შეიცვალონ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია, მათ შორის ფსიქოლოგის კონსულტაციის გზით, რამაც შესაძლოა მძიმე ფსიქიკურ პრობლემებამდეც კი მიიყვანოს მოზარდი.

3.4.5 ტრანსგენდერი ქალები სპორტში

დღეს მეტად აქტუალური ხდება ტრანსგენდერი ადამიანების ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში და მათი მონაწილეობა ოფიციალურ ჩემპიონატებში.
უდავო ფაქტია, რომ მამაკაცებს აქვთ მნიშვნელოვანი ფიზიკური უპირატესობა ქალებთან მიმართებით, რისი დიდი ნაწილიც განპირობებულია ბიოლოგიური სქესით.
შედარებისათვის აუცილებელია რამდენიმე მაგალითის განხილვა. კერძოდ, კაცებში ქალებთან შედარებით კუნთის მასა საშუალოდ 37%-ით მეტია, ფილტვების მოცულობა 35%-ით მეტი, მაჯის მოჭიდების ძალა 57%-ით მეტი, მყესების მოჭიმულობის ძალა 83%-ით მეტი და ა.შ.[38]
სპორტში, სადაც კონტაქტი, შეჯახება ან ბრძოლა თამაშის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ქალებსა და მამაკაცებს შორის ფიზიოლოგიურმა მახასიათებლებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები ქალებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამიტომ, სამართლიანი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად, სპორტის უმეტესობა იყოფა (პირველ რიგში) მამაკაცთა და ქალთა კატეგორიებად.

[38] Transgender women in female sport: why biology matters, https://bit.ly/3mIcRI8 [23.09.2022].

ტრადიციული სქესობრივი დაყოფა მამაკაცთა და ქალთა სპორტულ კატეგორიებად არ ითვალისწინებს ტრანსგენდერ ადამიანებს. ამიტომ წინა პლანზე წამოიწია ტრანსგენდერი ქალების ქალთა კატეგორიაში ასპარეზობის სურვილმა.

ტრანსგენდერი სპორტსმენების სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ოლიმპიურმა კომიტეტმა შემოიღო გარკვეული კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ტრანსგენდერ ქალებს, მონაწილეობა მიიღონ სპორტის ქალთა კატეგორიებში. კერძოდ, ეს მოიცავს ოფიციალურ გაცხადებას, რომ სპორტსმენის გენდერული იდენტობაა ქალი და საერთო ტესტოსტერონის დონის შენარჩუნებას 10 ნმოლ/ლ–ზე ქვემოთ (მიიღწევა ტესტოსტერონის დამთრგუნველი პრეპარატების საშუალებით) შეჯიბრების დროს და შეჯიბრებამდე მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მიიჩნევა, რომ ტესტოსტერონის ასეთ დონემდე შენარჩუნება ათანაბრებს ბიოლოგიური კაცების უპირატესობას ქალებთან მიმართებით.[39]

თუმცა, უახლესი კვლევების თანახმად, ტესტოსტერონის დამთრგუნველი პრეპარატების მიღება 1 წლის განმავლობაში სხეულში სუფთა კუნთის მოცულობას ამცირებს 3-5%-ით. ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც დაკვირვების ობიექტი არ არის სპორტულად აქტიური. ფიზიკური დატვირთვის შემთხვევაში ეს ცვლილება კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ამ მხრივ კი კაცების უპირატესობა ქალებთან მიმართებით დაახლოვებით 45%-ს შეადგენს და 3-5%-იანი სხვაობა თითქმის არაფერს ცვლის.[40]

შესაბამისად, ამ კვლევებმა ცხადყო, რომ ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნები რეალურად არ ანეიტრალებს ტრანსგენდერი ქალების უპირატესობებს ბიოლოგიური ქალების მიმართ, რამაც შეიძლება დიდი საფრთხის ქვეშ დააყენოს ორივე მხარე. ერთი მხრივ ბიოლოგიური ქალები ვერ მიიღებენ სპორტში სამართლიან კონკურენციას, მეორე მხრივ კი ტრანსგენდერი ქალები ვალდებული იქნებიან გაიარონ საკმაოდ მძიმე პრეპარატული თერაპია, რომლითაც რეალურად მიზანი არ მიიღწევა. ვინაიდან, ტრანსგენდერების ოლიმპიურ შეჯიბრებებზე ჩართვის საკითხი ახალი გამოწვევაა, მნიშვნელოვანია კვლევების გაგრძელება ამ კუთხით, რათა მიღწეულ იქნეს როგორც ინკლუზიურობის, ისე სამართლიანი კონკურენციის მიზანი.

4. გენდერის სამართლებრივი აღიარება

4.1 გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები

ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი მსოფლიოში გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანები ვერ იღებენ მათთვის სასურველი გენდერის შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს. შედეგად, ისინი ექვემდებარებიან უფლებათა მრავალმხრივ შეზღუდვებს. სახელმწიფოებში არსებული რეგულაციები გენდერის შეცვლის პრერეკვიზიტად ხშირად გაუმართლებელ და უსამართლო მოთხოვნებს ადგენენ, მათ შორის, განქორწინებას, შეუქცევად სტერილიზაციას, სქესის კვლავ მინიჭების იძულებით ოპერაციას და სხვა სამედიცინო პროცედურებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცალსახა დარღვევას წარმოადგენს. ორგანიზაცია „ტრანსგენდერ ევროპას" (TGUE) შეფასებით, „სქესის კვლავ მინიჭების ოპერაციებისა და სტერილიზაციის მოთხოვნები ეწინააღმდეგება ადამიანის სხეულებრივი მთლიანობის უფლებას. მრავალი ტრანსგენდერი ადამიანი თანხმდება ოპერაციის შედეგად გამოწვეულ რისკებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დოკუმენტები ადეკვატურად ასახავდეს მათ გენდერულ თვითაღქმას. უფრო მეტიც, აღნიშნული მოთხოვნები სქესის ცვლილებას და გენდერული თვითგამოხატვის შესაძლებლობას გამორიცხავენ იმ ტრანსგენდერ პირებთან მიმართებით, რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ქირურგიული ოპერაციით ან ჰორმონალური მკურნალობით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო".

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2048 (2015) სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ „განავითარონ სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სახელისა და სქესის შეცვლის ხელშეწყობის მიზნით.

---

[39] Transgender women in female sport: why biology matters, https://bit.ly/3mIcRI8 [23.09.2022].

[40] *იქვე.*

ამასთანავე, რეზოლუცია ითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ გააუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო მოთხოვნა სტერილიზაციასა და სავალდებულო სამკურნალო პროცედურებზე, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზის არსებობაზე, როგორც პირის გენდერის სამართლებრივი აღიარების წინაპირობაზე".

საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარება გულისხმობს ამჟამად არსებული სქესის კვლავ მინიჭების ოპერაციის გაუქმებას და დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას ტრანსგენდერთა სურვილისამებრ მდედრობითიდან მამრობითზე ან პირიქით. საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გენდერის სამართლებრივი აღიარება სამედიცინო პროცედურებთან არის დაკავშირებული. რეალობაში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დეტალურად არეგულირებს და ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ შესაძლებლობებს იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ, შეცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი თავიანთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში. პრაქტიკაში, ტრანსგენდერ ადამიანებს არ ექმნებათ სირთულეები სახელის ან/და გვარის ცვლილებისას, მათ ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნის გარეშე შეუძლიათ შეიცვალონ სახელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში. საქართველოს „სამოქალაქო აქტების შესახებ" კანონის 78-ე მუხლი განსაზღვრავს გარემოებათა ჩამონათვალს, რაც შესაძლოა გახდეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების საფუძველი. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მითითებულია „სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა". ამასთან კანონით არ არის განმარტებული ის საკითხი, თუ ამ მუხლის მიზნებისათვის რა მიიჩნევა „სქესის შეცვლად". დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, სქესის ლეგალურად შეცვლისათვის აუცილებელია სქესის კვლავ მინიჭების სრული პროცედურის გავლა, ქირურგიულის ჩათვლით.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის/გენდერის შესახებ ჩანაწერის სამართლებრივი ცვლილება და ასახვა არსებითად პრობლემურია და ადგენს იმგვარ რეკვიზიტებს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის თვითგამორკვევის, სხეულებრივი ინტეგრაციისა და ჯანმრთელობის უფლებებს. აუცილებელია, სახელმწიფომ დაგეგმოს ადეკვატური ნაბიჯები აღნიშნული სისტემური ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რათა ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანებს მიეცეთ მინიჭებული უფლებებით სრულად სარგებლობის შესაძლებლობა.

4.2. სასამართლო პრაქტიკა გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე გენდერის სამართლებრივი აღიარების კუთხით არის X და Y რუმინეთის წინააღმდეგ. საქმე ეხება ორ ტრანსგენდერს, რომელთაც უარი ეთქვათ გენდერის აღიარების მიზნით ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ მსგავსი მოთხოვნის წარმდგენ პირებს ასევე უნდა წარედგინათ მტკიცებულება, რომ სქესის ცვლილების შესახებ ქირურგიული ჩარევა ჩაიტარეს. სტრასბურგის სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ეროვნულმა სასამართლოებმა აპლიკანტები, რომლებსაც არ სურდათ ქირურგიული ჩარევით შეეცვალათ საკუთარი სქესი, დილემის წინაშე დააყენა: უარი ეთქვათ ფიზიკურ ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებაზე და მათივე სურვილის წინააღმდეგ ქირურგიული ჩარევის გზით შეეცვალათ სქესი ან უარი ეთქვათ გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარებაზე, რაც ასევე პირადი ცხოვრების პატივისცემით დაცულ სფეროს მიეკუთვნება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, აღნიშნული არღვევს სამართლიან ბალანსს საზოგადოებისა და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის, შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლების მხრიდან გენდერის ქირურგიული გზით შეცვლის გარეშე გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე უარის თქმა ჩაითვალა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში გაუმართლებელ ჩარევად.

2017 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ საქმეში A.P., Garçon and Nicot v. France დაადგინა, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის სქესის კვლავ მინიჭების ქირურგიული ოპერაციის მოთხოვნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის დარღვევაა.[41]

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8.

საქართველოსთან მიმართებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ა. დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ სამი ტრანსგენდერი კაცის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა. სამივე აპლიკანტის მოთხოვნა მათი გენდერული მარკირების ოფიციალურ დოკუმენტებში ასახვა იყო, რაც უარყოფილი იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ. სასამართლოს განმარტებით, მთავარ პრობლემას საქმეში ის წარმოადგენს, რომ მიუხედავად შიდასაკანონმდებლო დებულებისა, რომლითაც ნებადართულია პირის სქესის/სქესის ნიშნის შეცვლა სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში (სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტი), კანონი დუმს იმ მოთხოვნებთან და წინაპირობებთან დაკავშირებით (მათ შორის, სამედიცინო სახის), რომელიც უნდა შესრულდეს იმისთვის, რომ განხორციელდეს გენდერის სამართლებრივი აღიარება.[42]

5. საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციების ფარგლებში შექმნილი ანგარიშები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვის ჭრილში

5.1 ECRI-ს მეოთხე მოხსენების ანალიზი საქართველოს შესახებ

ევროპის საბჭოს მიერ, 1993 წელს შექმნილ ევროპულ კომისიას რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საქართველოსთან მიმართებით ოთხი მოხსენება აქვს მიღებული, აქედან ბოლო მოხსენება მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს და გამოქვეყნებულია 2016 წლის 1 მარტს. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა ოთხ საკითხზე, ესენია კანონმდებლობა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, სიძულვილის ენა, რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური ძალადობა და ინტეგრაციის პოლიტიკა.

ECRI-ის საქართველოს შესახებ მესამე ანგარიშის მიღების შემდეგ აღნიშნულმა კომისიამ დადებითად შეაფასა 2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები, კერძოდ მის 53-ე მუხლში დამამძიმებელ გარემოებად რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, ეთნიკური, ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური შეუწყნარებლობის დამატება, რითაც შესრულდა ECRI-ის 2010 წლის რეკომენდაცია.[43]

დადებითადაა ასევე შეფასებული 2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღებაც, რომელშიც ერთმანეთისგან განსხვავებულია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა.[44]

მიუხედავად დასახელებული სასიკეთო ძვრებისა, ECRI-ს მიხედვით, ქართულ საზოგადოებაში არის ზოგადი ჰომო და ტრანსფობიური კლიმატი, ლგბტქ+ ჯგუფებს ხშირად ესხმიან თავს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღეს გამართული საჯარო ღონისძიება. ხელისუფლების ორგანოები საკმარისად არ იძიებენ და სამართლებრივად არ დევნიან სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებს. მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ შეტანილი ცვლილებებისა, ისინი ძალიან იშვიათად გამოიყენება და ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, რომ იგი გამოეყენებინათ სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობასთან მიმართებით.[45]

ECRI-ს მეოთხე რეკომენდაციის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების მისამართით გაკეთდა მოწოდება გულდასმით დააკვირდეს, იძიებს თუ არა პოლიცია პოტენციურ რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებს. ამასთანავე, ამგვარი მოტივები თავიდანვე უნდა ჩაითვალოს სამართალწარმოების საფუძვლად. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა პოლიციაში უნდა შექმნან სპეციალური განყოფილება, რომელიც კონკრეტულად რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე იმუშავებს. ამგვარი განყოფილების შექმნისას ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ექსპერტთა რეკომენდაციები სახალხო

---

[42] Case of A.D. and Others v. Georgia, nos. 57864/17, 79087/17 and 55353/19, §74, ECHR 2022

[43] ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 9.

[44] *იქვე.*

[45] *იქვე.* 9-10.

დამცველის ოფისიდან, ისევე, როგორც შესაბამისი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.[46]

მესამე მოხსენების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის მსგავსად, ECRI მეოთხე მოხსენებაშიც ხაზს უსვამს საქართველოს ხელისუფლების მიერ, რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემის შექმნის აუცილებლობას და მოუწოდებს მას საფუძვლად დაუდოს სახალხო დამცველისა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტული ცოდნა,[47] გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან და გააუქმოს, ან განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენის გამოვლენაში.[48]

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოვლინებებს, საკმაოდ აქტიური ხასიათი აქვს მათ შორის სასულიერო და პოლიტიკური პირების მხრიდან. პარლამენტის ეთიკის კოდექსი კრძალავს შეურაცხმყოფელი ენის გამოყენებას, თუმცა, აღსრულების მექანიზმს რაც შეეხება, ის არ განსაზღვრავს ამგვარ შემთხვევებში მისაღებ ქმედით ზომებს.[49] შესაბამისად, ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის რეგლამენტში შეიტანონ დებულება, რომელიც კრძალავს რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ შეურაცხყოფას და ითვალისწინებს ზომებს ან/და სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში.[50]

ხშირ შემთხვევაში საზოგადოებაში გავრცელებულ ჰომო/ტრანსფობიურ განწყობებს და შესაბამისი უწყებების, განსაკუთრებით საპოლიციო და სასამართლო სტრუქტურების მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობის ფაქტებს განაპირობებს განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე, შესაბამისად, მეოთხე მოხსენების ფარგლებში ECRI მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე. გარდა ამისა, ტრენინგები უნდა ფარავდეს ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსაც. ასევე, გასცემს რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ტრენინგების გავლენა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ისინი.[51]

ცნობიერების ამაღლების ფარგლებში მნიშვნელოვანია ასევე, რომ პოტენციური მსხვერპლი, ისევე, როგორც პოტენციური დამნაშავე ინფორმირებული იყოს ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების დასჯადობის შესახებ. შესაბამისად, ამ მიმართულებით ECRI-ს რეკომენდაციაა ეცნობოს საზოგადოებას სისხლის სამართლის იმ დებულებებზე, რომლებიც რასობრივად მოტივირებულ, რელიგიური შეუწყნარებლობის ან ჰომო/ტრანსფობიურ ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის საშუალებას იძლევა. იგი ასევე მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას განახორციელოს აქტიური ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს მსხვერპლთ, გაასაჩივრონ ჰომო/ტრანსფობიური ქმედებები.[52]

ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტქ+ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისათვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. შესაბამისად, ლგბტქ+ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადი რჩებიან ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით უნდა დაიწყოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად.[53]

---

[46] ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 11.

[47] *იქვე,* 18.

[48] *იქვე.*

[49] საქართველოს პალამენტის წევრთა 2004 წლის ეთიკის კოდექსი, მე-4 მუხლი.

[50] ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 23.

[51] *იქვე,* 29.

[52] ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 29

[53] *იქვე,* 39.

5.2 *სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი*

5.2.1 საკანონმდებლო ბაზა

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2016 წლის 32/2 რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა და მას შემდეგ განხორციელდა, რაც სახელმწიფოების თანამეგობრობისათვის ცნობილი გახდა ლგბტქ+ პირების მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციის და ძალადობის შესახებ, რომელიც ასახულია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ 2011 და 2015 წლებში გამოქვეყნებულ ორ ანგარიშში.[54]

ვიზიტის შემდგომ გაკეთებულ განცხადებაში ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულებისა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის კუთხით საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ რეგულაციებს საკმაოდ ძლიერს უწოდებს, თუმცა აღნიშნულ საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნაში ხაზს უსვამს იმ საკითხს, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს მათი ეფექტურად განხორციელების მხრივ, რაც გამოიხატება კანონის შესახებ ცნობიერების დაბალ დონესა და მსხვერპლების მხრიდან მიმართვიანობის კუთხით გამოვლენილ პასიურობაში.[55]

5.2.2 ოჯახში ძალადობა

ოჯახური ძალადობა ის მეტად მძიმე და რთული საკითხია, რომელიც ასე აზარალებს ლგბტქ+ თემს. აღსანიშნავია, რომ ამ თემის წევრები ხშირად ხდებიან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. მათ უზღუდავენ თავისუფლად გადაადგილებას და სოციალურ კონტაქტს თანატოლებთან. ხსენებული წარმოადგენს სასჯელს საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელისა და ურჩობის გამო. კონცეპტუალური ჩარჩო ან სისტემები, რომლებიც იძლევიან მონაცემთა დახარისხების საშუალებას, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული მანდატის ფარგლებში ოჯახური ძალადობის 1578 შემთხვევის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა უწყებას არ აღმოაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ამ შემთხვევებიდან რამდენი იქნა ჩადენილი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია სახელმწიფოს გაეორმაგებინა მცდელობები, რათა უზრუნველეყო სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე ჩადენილი ოჯახური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და საქმეების განხილვა, აგრეთვე შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება.[56]

5.2.3 სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივით სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები ქვეყანაში საკმაოდაა გავრცელებული. 2012 წელს სისხლის სამართლის 53.3[1]-ე მუხლში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც დამამძიმებელ კვალიფიკაციას ანიჭებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებებს, ოთხი წელი დასჭირდა ამგვარ დანაშაულებათა რეგისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში. ამასთანავე, სამართალდამცავი ორგანოები იშვიათად უთითებენ ზემოხსენებულ ნორმაზე,

---

[54] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, <https://bit.ly/3aacoLW> [30.04.2022].

[55] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, <https://bit.ly/3aacoLW> [30.04.2022].

[56] *იქვე.*

ხოლო სასამართლოები კი არასდროს იყენებენ მას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შემთხვევებში.[57]
ლგბტქ+ პირები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგებიან, როდესაც ისინი საჩივრით მიმართავენ პოლიციას, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის პირველ რგოლს წარმოადგენს. მსხვერპლთა თქმით, მათ ხშირად არ სურთ განაცხადონ ინციდენტის შესახებ უნდობლობის, აგრეთვე გამოაშკარავების, ძალადობის ან დაცინვის შიშის გამო. პოლიციის თანამშრომლების წინასწარი უარყოფითი განწყობების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტრანსგენდერ სექსმუშაკებთან მიმართებაში. ხშირია პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ჰომო/ტრანსფობიური დამოკიდებულების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისა და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, სიძულვილის მოტივი (გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 53.3[1]-ე მუხლით) არც ერთხელ არ იქნა გათვალისწინებული მოსამართლის მიერ მსჯავრის გამოტანის პროცესში და არ არსებობს პრეცედენტები, რომელიც დამამძიმებელ კვალიფიკაციას მიანიჭებდა ჰომოფობიურ ან ტრანსფობიურ დანაშაულებებს.[58]

5.2.4 თავისუფლებააღკვეთილი პირები

ყველა ხელმისაწვდომი კვლევა და ანგარიში ასკვნის, რომ ლგბტქ+ პატიმრები ციხის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. ეს პატიმრები სხვა პატიმრებისგან განცალკევებით იხდიან სასჯელს და ასრულებენ ყველაზე მეტად დამამცირებელ სამუშაოს. მათ აბუჩად იგდებენ და დასცინიან არა მხოლოდ დანარჩენი პატიმრები, არამედ ხშირად ციხის ადმინისტრაციაც კი. ციხის დაუწერელი კანონების მიხედვით, ნებისმიერი პატიმარი, რომელიც შეეხება, გამოელაპარაკება ან უბრალოდ აღიარებს ლგბტქ+ პირებად მიჩნეული პატიმრების არსებობას, რომლებსაც ხშირად „ქათმებად" მოიხსენიებენ, დაუყოვნებლივ გაიგივდება მათთან და მასაც ლგბტქ+ პატიმრების მსგავსად ემუქრება გარიყვა და იზოლაცია.[59] აღნიშნული წარმოადგენს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული სტიგმის შედეგს აღნიშნული თემის წარმომადგენელთა მიმართ და საჭიროებს ეტაპობრივი ქმედებების განხორციელებას მის შესაცვლელად, მათ შორის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მიღების გზით, რაზეც განცხადების ფარგლებში აქტიურად იყო ყურადღება გამახვილებული.[60]
აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ გენდერის აღიარების იურდიულმა ბარიერებმა და სასამართლო სისტემაში გენდერის ხისტმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა შექმნას ისეთი სიტუაცია, სადაც ტრანსგენდერ ქალებს მამაკაცებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში მოუწევთ სასჯელის მოხდა და ყველა იმ საფრთხისადმი დაქვემდებარება, რაც ამგვარ გადაწყვეტილებას მოსდევს თან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საჭიროა სასწრაფოდ გაუქმდეს ყველა ის შეურაცხმყოფელი მოთხოვნა, რაც წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში გენდერული მარკერის შეცვლის წინაპირობას.

5.2.5 სიძულვილის ენა

სიძულვილის ენა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში საკმაოდ ვრცლად იქნა მიმოხილული. აღნიშნულ საკითხს ეხება ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული თითქმის ყველა ანგარიში საქართველოს შესახებ და გამონაკლისს არც გაეროს ზემოაღნიშნული

---

[57] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, 8 <https://bit.ly/3aacoLW> [30.04.2022].
[58] *იქვე.*
[59] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, 10 <https://bit.ly/3aacoLW> [30.04.2022].
[60] *იქვე.*

მანდატი წარმოადგენს. ხელისუფლებისა და საჯარო პირების პასუხისმგებლობა, რომ არ წააქეზონ ან არ გააღვივონ სიძულვილი და დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებით დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ჰომოსექსუალიზმი არის დევიანტური სექსუალური მიდრეკილება", რომელსაც აქვს „მორალურად დამანგრეველი გავლენა საზოგადოებაზე", სერიოზული და ცრურწმენაზე დაყრდნობილი ვარაუდებია მაშინაც, როდესაც ისინი არ გულისხმობენ მოწოდებას სიძულვილით მოტივირებული ქმედებებისაკენ და ამგვარად, არ წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის რეგულირების სფეროს.[61]
დასახელებული ვალდებულების მიუხედავად, პოლიტიკური პირები სწორედ ის პირები გახლავთ, რომლებიც ყველაზე აქტიურად იყენებენ ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენას და ახდენენ ამ თემის პოლიტიზირებას. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ სწრაფად დამტკიცდეს საჯარო სამსახურის შესახებ სტანდარტები და ეთიკის კოდექსები, რომლებიც გათვალისწინებულია 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმის 13.2.2.-ე პუნქტით, ისევე, როგორც განხორციელდეს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება იმის დასადგენად, რომ იგი სრულიად ადეკვატურია სიძულვილის ენასთან საბრძოლველად. ამასთანავე, ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციაა, რომ დაინერგოს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ენის მიმართ, რასაც თან უნდა სდევდეს გამოძიების ეფექტიანი ღონისძიებები და სასჯელი.[62]

5.3 ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიმდინარე საქმეთა კომიტეტის ანგარიში

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიმდინარე საქმეთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 25 იანვარს გაკეთებულ ანგარიშში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად ევროპის არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში, სასულიერო და პოლიტიკური ლიდერების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება იქნა დასახელებული.[63]
2019 წლის თებერვალში, პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" დეპუტატმა წარადგინა ინიციატივა „სექსუალური ორიენტაციის" და „გენდერული იდენტობის" ამოღების შესახებ რვა კანონიდან, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას შეეხებოდა. აღნიშნული ცვლილება არ იქნა მიღებული, თუმცა, ამის მიუხედავად, მსგავსი სახის ინიციატივები მტრულ გარემოს ქმნის ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა მისამართით. ამავე, 2019 წელს თბილისი პრაიდი არ ჩატარდა, ვინაიდან ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან გაკეთებული მუქარის განცხადებების გამო, ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან არიდების მიზნით პრაიდი აღარ ჩაეტარებინათ.[64]
აღნიშნული ანგარიშში საქართველო იმ ქვეყანათა რიგშია დასახელებული, რომლებიც ზღუდავენ სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებადამცველთა მუშაობას ისეთი ზომებით, რომლებიც ხშირად კონკრეტულად ლგბტქ+ ორგანიზაციების წინააღმდეგაა მიმართული.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში საკმაოდ ვრცლად იქნა მიმოხილული ტრანსგენდერების უფლებრივი მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები. გაანალიზებულ იქნა საერთაშორისო სამართლებრივი

---

[61] *იქვე.*
[62] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, 10 <https://bit.ly/3aacoLW> [30.04.2022].
[63] The Congress of Local and Regional Authorities, Current Affairs Committee, Protecting LGBTI people in the context of rising anti-LGBTI hate speech and discrimination: The role of local and regional authorities, 2021, 11.
[64] იქვე, 17.

და ეროვნული რეგულირების მექანიზმები და წარმოდგენილ იქნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული ანგარიშების ანალიზი.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ლგბტქ+ პირების, ჰომო/ბი/ტრანგენდერი ადამიანების უფლებების დაცვის საკითხებს შეეხება, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა. უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების დამატება.
საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს არის დოკუმენტებში სქესის შეცვლასთან დაკავშირებული მოთხოვნა, კერძოდ ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ სურვილი სამედიცინო ჩარევის გზით შეიცვალონ სქესი, უარი არ უნდა ეთქვათ მათი გენდერული თვითაღქმის შესაბამისად სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებაზე შესაბამის დოკუმენტებში.
ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ტრანსგენდერების და ზოგადად ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმეა. მათ ეზღუდებათ ისეთი უფლებებით სარგებლობა როგორებიცაა განათლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ოჯახური ცხოვრების უფლებები. აწყდებიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ სირთულეებს, ტრანსფორბიურ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.
ტრანსფობიური სიძულვილის ენა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები ტრანსგენდერთა მიმართ საკმაოდ მძიმე სურათს იძლევა. ტრანსგენდერების მიმართ სიძულვილის ენას საკმაოდ ხშირად სასულიერო და პოლიტიკური პირები იყენებენ, საზოგადოებაში ისედაც ფართოდ გავრცელებულ სტიგმას აღვივებენ და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების პოლიტიზირებით ხელს უწყობენ შუღლსა და დაპირისპირებას ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.
დასკვნის სახით შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას, რომ გამოწვევები, რომლის წინაშეც ტრანსგენდერი ადამიანები დგანან მართლაც დიდია და ეს ჯგუფი თვით ლგბტქ+ თემის შიგნითაც კი მარგინალიზებულია. სამწუხაროდ ერთადერთი ახსნა, რომელიც შეიძლება ამის მიზეზი იყოს ისევ და ისევ ფობიაა, კერძოდ კი ტრანსფობია - შიში, რომელიც ქვეცნობიერად ეუფლება ადამიანთა უმრავლესობას, როდესაც ხედავს თავისივე სქესის წარმომადგენელს, რომელმაც უარყო ის „პრივილეგიები“, რაც მას დაბადებიდან ჰქონდა და გადაწყვიტა სოციუმში არსებული ქცევის წესისგან გადახვევა. საზოგადოებრივი აზრის ამგვარად ფორმირების „ღვაწლი“ საბჭოთა კავშირს ნამდვილად არ უნდა დაეკარგოს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღევანდელი სიტუაცია მეტად საგანგაშოა. სამართალდამცავები, საკანონმდებლო, სასამართლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლებაც სწორედ იმ საზოგადოების ნაწილია და იმ მოთხოვნებს პასუხობს, რაც საზოგადოებაში არსებობს. შესაბამისად, მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე კონცენტრირება ვერ გამოიღებს შედეგს და არ იქნება ქმედითი ზემოთხსენებული პრობლემების აღმოფხვრის პროცესში. სამწუხაროდ, კვლავ აქტუალურია ის საკითხი, რომ კონკრეტულ პირთა ჯგუფს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას სულ მცირე ისეთი გარემო, სადაც მათზე ფიზიკურად არ იძალადებენ, არ მოკლავენ და თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, იმის მოლოდინი მაინც იქნება, რომ გამოძიება სწორი კვალიფიკაციით დაიწყება და დამნაშავეები დაისჯებიან. თეორიულად, რა თქმა უნდა, გამოსავალი ცნობიერების ამაღლებაა, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მოხდეს უფრო ტოლერანტული საზოგადოების ფორმირება.
სამწუხაროდ, არსებული, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მაინც შეინიშნება პოზიტიური დინამიკა 10 ან 20 წლის წინანდელ მიდგომებთან შედარებით. ამას ემატება ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობა და მათი რეკომენდაციები, რომლებიც ჯამში დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს პოლიტიკაზე და რაც მთავარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც სხვა თემებთან ერთად ტრანსგენდერთა პრობლემატიკითაც აქვთ არაერთი სარჩელი წარდგენილი საქართველოს მოქალაქეებს. მართალია ეს სასამართლო ზემდგომი ინსტანცია სულაც არ არის, თუმცა, როგორც წესი, მის გადაწყვეტილებებს დიდი პოლიტიკური წონა აქვს, განსაკუთრებით კი ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნებისათვის.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ბრძოლა ტრანსგენდერი ადამიანების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებებისთვის, საკანონმდებლო ბაზის მოდიფიკაცია იმგვარად, რომ ტრანსგენგენდერებს სამართლებრივი ბარიერები არ შეექმნათ ყოველდღიურ ცხოვრებაში - სამუშაო, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა სივრცეებით სარგებლობისას თუ სხვადასხვა მომსახურებების მიღებისას.

ბიბლიოგრაფია

2. საერთაშორისო კონვენციები:
3. 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

4. კანონები:
5. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ ;
6. საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“;
7. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
8. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, (2014);
9. საქართველოს პალამენტის წევრთა ეთიკის კოდექსი (2004).

10. სტატიები:
11. მაია (ნუკრი) ტაბიძე, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში“, Equality Movement, (2019);
12. EMC, “ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში”, 2016;
13. თანასწორობის მოძრაობა, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში”, 2019;
14. EMC, „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“ (2017) 82;
15. UNFPA, G. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. თბილისი: UNFPA და UNDP;
16. Judson Adams, Halle Edwards, Rachel Guy, Maya Springhawk Robnett, Rachel Scholz-Bright & Breanna Weber, "Transgender Rights and Issues," Georgetown Journal of Gender and the Law 21, no. 2 (2020);
17. Thomas E. Bevan, „The Psychobiology of Transsexualism and Transgenderism: A New View Based on Scientific Evidence,“ Praeger, (2014);
18. Revell, D. L., & Vapnek, J. (2020). Gender-silent legislative drafting in non-binary world. Capital University Law Review, 48(2), (2020);
19. Rachel Sloth-Nielsen, "Failure to Recognise a Third Gender Option: Unfair Discrimination or Justified Limitation?," Law, Democracy and Development 25 (2021);
20. Akshita Pandit, "(Trans) Gressing the Binary: Coalitional Self-Determination for the Third Gender Framework," Socio-Legal Review 14, no. 1 (2018);
21. Free and Equal Campaign Fact Sheet: Intersex, UN Office of the High Commissioner for Human Rights, 2015;
22. The American Heritage Dictionary of the English Language, Fourth Edition. Houghton Mifflin Company, 2016;
23. Sexual Orientation, Gender Identity and Justice: A Comparative Law Casebook. Geneva, International Commission of Jurists, 2011;
24. Evan Vipond, "Trans Rights Will Not Protect Us: The Limits of Equal Rights Discourse, Antidiscrimination Laws, and Hate Crime Legislation," Western Journal of Legal Studies 6, no. 1 (2015);
25. Transgender women in female sport: why biology matters, https://bit.ly/3mIcRI8

26. სასამართლოს გადაწყვეტლებები:
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის #1/3/421,422 გადაწყვეტილება;

28. Case of A.D. and Others v. Georgia, nos. 57864/17, 79087/17 and 55353/19, ECHR 2022.

29. მედია:
30. ტაბულა, "პოლიციამ კაფე გალერის ფანჯრიდან გადმოფენილი ლგბტ დროშა ჩამოახსნევინა", 17 მაისი (2020) <http://tabula.ge/>;
31. მთავარი არხი, „30-მდე სამართალდამცველმა ტრანსგენდერ ქალებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა", 2 მაისი (2020) <Mtavari News>;
32. https://bit.ly/3xurVPK;
33. https://bit.ly/3O4l30D;
34. https://bit.ly/3O4fsYv;
35. https://bit.ly/3mtsuTE;
36. თანასწორობის მოძრაობა, „ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში" (2019).

37. ანგარიშები:
38. ECRI Report on Georgia (Fifth Monitoring Cycle), Adopted on 8 December 2015, 26;
39. Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of Mission Statement, 10 https://bit.ly/3aacoLW;
40. The Congress of Local and Regional Authorities, Current Affairs Committee, Protecting LGBTI people in the context of rising anti-LGBTI hate speech and discrimination: The role of local and regional authorities, 2021;
41. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.